ხელშეკრულება №38/2018

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. რუსთავი

16 მაისი 2018 წელი

ერთის მხრივ სსიპ **„სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი“** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ავთანდილ მიქანაძის** სახით და მეორეს მხრივ **შპს „ბაია“** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის **თამარ უდესიანის** სახით, მოქმედნი საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

4. „მხარე“ ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს.

5. „მხარეები“ ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს ერთად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გავაფორმეთ წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველი სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი“

მიმწოდებელი შპს „ბაია“

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) – ნიშნავს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტის 4.1 ქვეპუნქტში მითითებულ თანხას, რომელიც შემსყიდველმა უნდა გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ ნიშნავს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელ პირს.

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

1.5. „საქონელი“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 პუნქტით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტი.

1.6. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2018 წლის 16 მაისს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში ევროკავშირის „პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდაჭერის“ პროექტის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა საკვები პროდუქტების შესყიდვა, კერძოდ:

N	საქონლის დასახელება	CPV კოდი	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამი (ლარი)
1	ეტი ვონთედ კარამელი მინი 126გრ*12ც	15842000	ცალი	1	3.00	3.00
2	შაქარი რიჩმონდი 1კგ.	15831000	ცალი	1	2.05	2.05
3	ნესკაფე გოლდი პაკეტი 12X250გ	15861000	ცალი	1	18.05	18.05
4	ეტი ადიკტო ბრაუნ გოლდი კაკაოთი 180 გრ	15842000	ცალი	1	3.50	3.50
5	ზოლუშკა ვაფლი-კაკაო-თხილით_235გრ*16	15842000	ცალი	2	2.10	4.20
6	ვაფლი ჰოლანდიური კარამელით	15842000	ცალი	1	2.15	2.15
7	**სულ ჯამი**					**32.95**

2.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

2.3 კლასიფიკატორის კოდი: CPV 15800000; 15842000; 15831000; 15861000.

3. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება 2018 წლის 16 მაისს.

3.2 საქონლის მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N 30.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **32 (ოცდათორმეტი)** ლარს და **95** თეთრს, დღგ-ს ჩათვლით.

4.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადებს.

5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის ფაქტობრივად მიწოდების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი

5.3 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

5.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

5.5 შესყიდვა ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის **2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაფინანსების ფარგლებში.**

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2 მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მას ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე.

7. ხარისხი

მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე.

8. ხელშეკრულების კონტროლის - ინსპექტირების პირობები

8.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი-ინსპექტირება, რათა დარწმუნდნენ მიწოდებული საქონლის შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტი ან ნაკლი.

8.3 ამ პუნქტის არცერთი ქვეპუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებებისაგან.

8.4 კონტროლს-ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის" სერვისების უზრუნველყოფის სპეციალისტი - **ხათუნა ავალიშვილი.**

8.5 კონტროლი - ინსპექტირება გულისხმობს მისაწოდებელი საქონლის ხარისხის და მიწოდების ვადების კონტროლს.

9. საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

10. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

10.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე;

10.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად აცნობოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ;

ბ) გადაიხადოს ხელშეკრულების ღირებულება „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემთხვევაში.

11. ფორს-მაჟორი

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული

მიმწოდებელისა და/ან შემსყიდველის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.2 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის 10 დღეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

12. ხელშეკრულების დადების საფუძველი

ხელშეკრულების დადების საფუძველი არის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 20 ივნისის ჩათვლით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

14.2 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით.

14.3 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა, რომელთაგან ერთი პირი გადაეცემა „მიმწოდებელს", ხოლო ორი პირი რჩება „შემსყიდველთან".

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი"
ს/კ: 204 493 262
მისამართი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, რუსთავის გზატკეცილი
მე-17 კილომეტრი
ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში
ბ/კ TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022

დირექტორი
ავთანდილ მიქანაძე

მიმწოდებელი:
შპს „ბაია"
ს/კ: 204 379 225
მისამართი: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N30
ბანკის დასახელება: სს „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE50LB0113113170530000

დირექტორი
თამარი უდესიანი

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები

ქ. რუსთავი 16 მაისი 2018 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სხვადასხვა საკვები პროდუქტების (CPV 15800000; 15842000; 15861000; 15831000) შესყიდვის მიზნით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავთანდილ მიქანაძე

დირექტორი

თამარი უდესიანი

დირექტორი

ხათუნა ავალიშვილი

სერვისების უზრუნველყოფის სპეციალისტი

ნიკოლოზ დუჩიძე

შესყიდვების კოორდინატორი